“დინამო” (თბილისი) – “კრილია სოვეტოვი” (კუიბიშევი)

გუშინ ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე შესდგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის ”დინამოს” და კუიბიშევის ”კრილია სოვეტოვი”.

პირველი ტაიმის 32–ე წუთზე ბ. პაიჭაძის მიერ მიწოდებული ბურთი პანიუკოვმა გაიტანა კუიბიშელთა კარში. მეორე ტაიმის პირველ წუთებშივე გაგუას მიერ მიწოდებული ბურთი გაიტანა ხარბედიამ. შემდეგაც თამაში თბილისელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ არაზუსტი დარტყმების გამო “დინამოს” თავდამსხმელებმა ანგარიში ვეღარ გაადიდეს. თამაში დამთავრდა თბილისის ”დინამოს” გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

22 ივნისს თბილისის “დინამო” ჩაატარებს პირველი წრის უკანასკნელ მატჩს თავის სტადიონზე. იგი შეხვდება სტალინგრადის “ტრაქტორს”.

19 ივნისი, 1946 წ.